



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030109621122920

№ 01-422/ო

25 / აგვისტო / 2020 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი N1.1-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, დანართი N1.3-ის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, დანართი N1.4-ის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულების, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორების და ბისფოსფონატების) ნუსხა თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

